თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4337422

ნომერი: AR1651404

თარიღი : 20.12.2018

გაცემის თარიღი : 15.01.2019

გაცნობის თარიღი : 21.01.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუხაიძე , N 54;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კონსტანტინე დგებუაძე პ/ნ 01017002402
- ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4193106 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უარის თქმის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 20 დეკემბერს №AR1651404 განცხადებით მომართა კონსტანტინე დგებუაძემ და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის

გასწორება სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4193106 ბრძანებაში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 09 ოქტომბრის №4193106 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ბუხაიძის ქუჩა №54-ში №01.16.06.056.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4193106 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა უკანა ეზოს განსაზღვრასთან დაკავშირებით და შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
სამსახურის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4193106 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენებულ პირობები არ შეიცავს ტექნიკურ შეცდომას და აღნიშნული ბრძანებით სწორად არის განსაზღვრული უკანა ეზო, შესაბამისად არ არსებობს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივი საფუძველი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4193106 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.